N 239 14/09/2016

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის გაწეული მუშაობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

2016 წლის 15 აგვისტოდან 15 სექტემბრის ჩათვლით, კომისიამ ჩაატარა კომისიის 2 სხდომა, აღნიშნული სხდომების დროს განხილული იქნა 3 საკითხი.

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდამჭერი პროგრამის“ ფარგლებში მიმდინარე პროექტების შესახებ.

   მომხს.: ტ. არაშიძე

   თანამომხს.: გ. აბაშმაძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შ.პ.ს. „ტექნოსერვისი“-ს დირექტორის ინფორმაცია მუნიციპალიტეტში განხორციელებული და განსახორციელებელი პროექტების შესახებ.

   მომხს.: ტ. არაშიძე

   თანამომხს.: დ. რუსიეშვილი

3. შ.პ.ს. „მაგნიკა“-ს ს.კ. (404523415) მიერ დამუშავებული, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნატანებში (შეკვეთილი) მდებარე მიწის ნაკვეთის ს.კ.(26.01.51.200) არსებული

ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების განხილვის შესახებ.

მომხს.: ტ. არუშიძე

პირველ და მეორე საკითხთან დაკავშირებით, კომისიის წევრებმა მოისმინეს და განიხილეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში“ მიმდინარე პროექტების შესახებ“-მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის, გ. აბაშმაძის, და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შ.პ.ს. „ტექნოსერვისის“ დირექტორის, დ. რუსიეშვილის, „მუნიციპალიტეტში განხორციელებული და განსახორციელებელი პროექტების შესახებ“- ინფორმაციები.

კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს: „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში“ მიმდინარე პროექტების შესახებ“- მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის, გ. აბაშმაძის, და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შ.პ.ს. „ტექნოსერვისის“ დირექტორის, დ. რუსიეშვილის, „მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროექტების შესახებ“- ინფორმაციები მიღებული იქნას ცნობად.

ხოლო მესამე საკითხთან დაკავშირებით, კომისიის წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია აღნიშნულ საკითხზე, განიხილეს და გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა (თან ერთვის) და შ.პ.ს. „მაგნიკა“-ს ს.კ. (404523415) მიერ დამუშავებული, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნატანებში (შეკვეთილი) მდებარე მიწის ნაკვეთის ს.კ.(26.01.51.200) არსებული ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება წარდგენილი იქნას მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად.

ტარიელ არუშიძე

კომისიის თავმჯდომარე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია